პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 ივნისი ხუთშაბათი 1973 წელი 2 გვ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 150 (15667)

ხუთწლედი—ვადამდე!

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის დავალება

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე, 26 ივნისს შეასრულეს წლის პირველი ნახევრისათვის გათვალისწინებული პროდუქციის რეალიზაციის პროგრამა. ეს იმის შედეგია, რომ ქარხნებსა და ფაბრიკებში, კომბინატებსა და შახტებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

რესპუბლიკის მთელმა რიგმა დიდმა სამრეწველო საწარმოებმა თავი ისახელეს მთლიანი პროდუქციის წარმოებითაც. ზოგიერთმა მათგანმა უკვე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. ისეთი საწარმოები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტი“, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხანა, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, რუსთავის ცემენტის ქარხანა, აგრეთვე თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქო“ და მთელი რიგი სხვა საწარმოები, თვის დამლევამდე გამოუშვებენ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. (საქინფორმი).

27 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი. სურათზე: შეხვედრის დროს ვნუკოვოს აეროდრომზე.

საკდესი (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

საქმიანად, ღრმა დაინტერესებით

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

თბილისი. 1973 წლის ივნისი. სურათზე: საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის სხდომათა დარბაზში.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

27 ივნისის დილის სხდომა

27 ივნისს თბილისში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყო მუშაობა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. ხალხის რჩეულნი შეიკრიბნენ, რათა განიხილონ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

დილის 10 საათი. თავმჯდომარის მაგიდასთან დგებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, მისი მოადგილეები — დეპუტატები ბ. ნ. გრიგალაშვილი, შ. მ. შაკაია, ლ. ა. ხოზრევანიძე, ა. კ. ხუციევი.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები ბ. გ. გიგიბერია, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ზ. ა. პატარაძე, ვ. მ. ხარაძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ. დეპუტატებმა ფეხზე დგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატის მ. ა. გოგიჩაიშვილის ხსოვნას.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამნდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. დ. მაღალაშვილის მოხსენება გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებულებათა სამნდატო კომისიის მიერ შემოწმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა „ცნობილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ევგენი კირილეს-ძე ხარაძის რწმუნებულებანი, რომელიც დეპუტატად არჩეულია 1973 წლის 17 ივნისს მარნეულის რაიონის ალგეთის № 144 საარჩევნო ოლქში.

დამტკიცდეს სესიის მუშაობის დღის წესრიგი, რომელშიც შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში.

2. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის პროექტის შესახებ.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

დაამტკიცეს სესიის მუშაობის წესი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა განიხილეს საკითხი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მუდმივ კომისიათა შემადგენლობის ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ რ. ა. ჯაფარიძეს. მას უხუცესთა საბჭოს დავალებით წინადადება შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლონ დეპუტატი ო. ე. ჩერქეზია იმის გამო, რომ იგი დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. შემდეგ დეპუტატი წინადადებას აყენებს სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო ასევე გათავისუფლონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა მოვალეობისაგან დეპუტატები ზ. ნ. გახიევი, ა. გ. ბატიაშვილი, და ა. ე. ჭითანავა.

ამ წინადადებებს ერთხმად იღებენ.

უხუცესთა საბჭოს დავალებით დეპუტატ რ. ა. ჯაფარიძის წინადადება შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად აირჩიონ შ. ვ. ყარყარაშვილი — დეპუტატი გარდაბნის რაიონის დიღმის № 73 საარჩევნო ოლქისაგან, და გათავისუფლონ იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან, ე. ი. ბეხეევი — დეპუტატი ცხინვალის რაიონის ცხინვალის სასოფლო № 393 საარჩევნო ოლქისაგან, და გათავისუფლონ იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან, ვ. ნ. კარაწაშვილი — დეპუტატი სიღნაღის რაიონის მაღაროს № 177 საარჩევნო ოლქისაგან, და გათავისუფლონ იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან, ფ. ა. ყუფუნია — დეპუტატი ზუგდიდის რაიონის ნარაზენის № 309 საარჩევნო ოლქისაგან, და გათავისუფლონ იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ამ წინადადებებს დეპუტატები ერთხმად იღებენ.

შემდეგ დეპუტატ რ. ა. ჯაფარიძეს უხუცესთა საბჭოს დავალებით წინადადება შემოაქვს გათავისუფლონ დეპუტატები შ. ი. ჭანუყვაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო გენბრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ იგი დანიშნულია საქართველოს სსრ დამზადების მინისტრად; გ. დ. ყიფიანი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ იგი დანიშნულია საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის პირველ მოადგილედ; ა. ი. ქორია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ იგი დანიშნულია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ.

ამ წინადადებებს ერთხმად იღებენ.

შემდეგ დეპუტატმა რ. ა. ჯაფარიძემ უხუცესთა საბჭოს დავალებით წინადადება შემოიტანა აირჩიონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ ვ. მ. სირაძე — დეპუტატი ქ. თბილისის № 38 საარჩევნო საარჩევნო ოლქისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ — ა. გ. გიგიბერია დეპუტატი ხაშურის რაიონის ქვიშხეთის № 105 საარჩევნო ოლქისაგან.

უმაღლესმა საბჭომ ეს წინადადებანი მიიღო.

დეპუტატები იწყებენ დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. მოხსენება „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. დ. ჯავახიშვილმა.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი, რომელშიც გამოვიდნენ დეპუტატი ს. ტ. რიგვავა (გ. ტაბიძის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. პ. ხაჟვარელიძე.

ცხადდება შესვენება.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ბ. ნ. გრიგალაშვილი.

დეპუტატები განაგრძობდნენ სესიის დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენების განხილვას. განახლებულ კამათში გამოვიდნენ: დეპუტატები ა. ე. ტაკიძე (თერჯოლის საარჩევნო ოლქი, თერჯოლის რაიონი), დ. დ. დიახამიძე (ურეკის საარჩევნო ოლქი, ხელვაჩაურის რაიონი), მ. ფ. ორაგველიძე, (ნატანების საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), ბ. ხ. კვარაცხელია (აძიუბეის საარჩევნო ოლქი, ონამპირის რაიონი), ზ. გ. ხანკოევა (კარლ მარქსის საარჩევნო ოლქი, ქ. ცხინვალი), ე. კ. ხარაძე (ალგეთის საარჩევნო ოლქი, მარნეულის რაიონი).

27 ივნისის საღამოს სხდომა

27 ივნისს 16 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის საღამოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი შ. ჭ. შაკაია.

დეპუტატები კვლავ განიხილავდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენებას „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში“.

განახლებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატმა ა. ა. ბლრციანმა (დილესკის საარჩევნო ოლქი, ახალქალაქის რაიონი), ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ლ. ჭართველიშვილმა, დეპუტატებმა დ. ი. ჩხეიძეშვილმა (სამგორის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), კ. ე. კეთილაძემ (ლიკანის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), რ. ა. ლაღიძემ (თაბაშინდის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), კ. ა. ჭრიხანიშვილმა (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. გორი), ო. ვ. ხაბაშვილმა (პატარძეულის საარჩევნო ოლქი, საგარეჯოს რაიონი), ლ. ნ. კოლესნიკმა (ი. ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი).

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება. 28 ივნისს სესია მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).



ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა

27 ივნისს მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი. იგი პრეზიდენტ რ. ნიქსონის მიწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და პრეზიდენტ ჟ. პომპიდუს მიწვევით ეწვია საფრანგეთის რესპუბლიკას საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დამყარებული უმაღლესი დონის კონსულტაციების პრაქტიკის შესაბამისად.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად მოსკოვს დაბრუნდნენ მისი თანმხლები პირნი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, საკადესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ ამხანაგები ი. ვ. ანდრეოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ა. კუნაევი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. თ. ილიაშენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები პ. ა. აბრასიმოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ე. დიმშიცი, ვ. ა. კირილინი, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. ა. ლესეჩკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, ზ. ნ. ნურიევი, გ. ს. პავლოვი, ნ. მ. პეგოვი, კ. ვ. რუსაკოვი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, ნ. ა. შჩოლოკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები მ. პ. გოორგაძე, ხ. კ. ცვიგუნი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ე. ი. კუსკოვი, გ. კ. ცინეი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ვ. ა. გოლიკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული საბჭოთა კავშირში ა. დაბსი, საფრანგეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული საბჭოთა კავშირში ა. ლეკლერკი. (საკდესი).

საუზმე ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად

პარიზი, 26 ივნისი. (სკკდესის სპეც. კორ.). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ დღეს რამბუიეს სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელშიც საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. ი. ბლატოვი, საკადესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი;

საფრანგეთის მხრივ საუზმეზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი პ. მესმერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ფუბერი, კულტურის საქმეთა მინისტრი მ. დრეუონი, სამრეწველო და სამეცნიერო განვითარების მინისტრი ჟ. შარბონელი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის სახელმწიფო მდივანი ჟ.-ფ. ლეჟა, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი ე. ბალადიური, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ჟ. დე კურსელი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ჟ. ვიმონი.

საუზმეზე, რომელშაც ბოლომდე მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს ჟ. პომპიდუმ და ლ. ი. ბრეჟნევმა.

ლ. ი. ბრეჟნევის დასკვნითი საუბარი ქ. პომპიდუსთან

პარიზი, 27 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს რამბუიეს სასახლეში, პარიზის მახლობლად, დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის საუბრები საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჟ. პომპიდუსთან, რომლებმაც საქმიან კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარეს.

ქვეყნება ერთობლივი შეთანხმებული ცნობა პრესისათვის.

საუბრის დასკვნითს სტადიაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა, სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ბ. პ. ბუგაევმა, სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეებმა გ. ე. ცუკანოვმა, ა. მ. ალექსანდროვმა, ა. ი. ბლატოვმა.

საფრანგეთის მხრივ მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ფუბერი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ვ. ეისკარ დ' ესტენი, ტრანსპორტის მინისტრი ი. გენა, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის სახელმწიფო მდივანი ჟ.-ფ. ლეჟა, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი ე. ბალადიური, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ჟ. დე კურსელი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ჟ. ვიმონი და სხვა ოფიციალური პირნი.

ლ. ი. ბრეჟნევი პარიზიდან გამოემგზავრა

პარიზი, 27 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და მასთან ერთად საფრანგეთში მყოფი საბჭოთა ოფიციალური პირნი სამშობლოში გამოემგზავრნენ.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით მორთულ პარიზის ორლის აეროდრომზე ლ. ი. ბრეჟნევი გაეცილეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟ. პომპიდუმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ფუბერმა, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა ვ. ეისკარ დ' ესტენმა, ტრანსპორტის მინისტრმა ი. გენამ, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის გენერალურმა მდივანმა ე. ბალადიურმა, საფრანგეთის ელჩმა სსრ კავშირში ჟ. ვიმონმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო სპატიო ყარაული.

ორლის სპატიო სალონში მყოფნი გულთბილად მიეფერნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟ. პომპიდუს. საბჭოთა ბავშვებმა წითელი მიხაკების თაიგულები მიართვეს ლ. ი. ბრეჟნევსა და ჟ. პომპიდუს.

ლ. ი. ბრეჟნევის გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო, საელჩოსა და საფრანგეთში სხვა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები.

მის აღმატებულებას

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟორჟ პომპიდუს

ვბრძვებ რა მეგობარი საფრანგეთის მიწა-წყალს, გულითად მადლობას გიძღვნით, ბატონო პრეზიდენტო, გულთბილობისა და მასპინძლობისათვის. მინდა გამოვთქვა დიდი კმაყოფილება გამართული საუბრების ნაყოფიერი და საქმიანი ხასიათის გამო, რაც საკუთარი ახახავს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობას, რომელიც დღენიადაგ მტკიცდება და ვითარდება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საუბრები ახალი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საბჭოთა და ფრანგი ხალხების ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების გზაზე. ჩვენს შეხვედრას, უეჭველია, დადებითი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების პროცესის დაჩქარებისათვის.

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და მთელ ფრანგ ხალხს.

ლ. ბრეჟნევი

„ილ-62“ თვითმფრინავი.

1973 წლის 27 ივნისი.

ნ. ს. პატოლიჩევი ესაუბრა ქ.-ფ. ლეჟს

პარიზი, 26 ივნისი. (სკკდესი). სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი დღეს შეხვდა საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის სახელმწიფო მდივანს ქ.-ფ. ლეჟს.

განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო ეკონომიური საკითხები.

ქ. პომპიდუს სიტყვა

ბატონო გენერალურო მდივანო!

ძალიან გვესიამოვნა და არც გაგკვირვებია, როცა გავიგეთ, რომ პარიზში ჩამობრძანდით. გვესიამოვნა იმიტომ, რომ უწინარეს ყოვლისა მუდამ მოხარული ვარ შეგხვდეთ პირადად და გავაღრმავოთ ურთიერთობა, რომელიც, ამედი მაქვს, დამყარდა ჩვენს მთავრობებს შორისაც. ეს არ გაგკვირვებია იმიტომ, რომ მწამს, საფრანგეთთან თანამშრომლობას თქვენც ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებთ, როგორსაც ჩვენ, და რომ ახლა ალბათ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე სხვა დროს, კარგია ყველას დავანახვოთ და დავადასტუროთ ეს არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

ახლახან დაწერილი საუბრები ეძღვნებოდა ამას, რასაც მათგან მოველოდი და დარწმუნებული ვარ, რომ შეეძლებთ ერთხელ კიდევ დავადასტუროთ, რომ ეს შეხვედრები ნაყოფიერია ჩვენი ორი ხალხისათვის, ევროპისა და მთლიანად მშვიდობის საქმისათვის.

სწორედ ამიტომ მინდა ვადლეგრძელო ბატონი ლეონიდ ბრეჟნევი, საბჭოთა კავშირი. ბედნიერება ვუსურვო საბჭოთა ხალხს, ვადლეგრძელო საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა!

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს ქვეყანაში მოწვევისათვის, მეგობრული სალამისა და გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და ჩვენი ურთიერთობის შესახებ გამოთქვიეთ.

ჩვენ გვიხარებს თქვენთან ახალი შეხვედრა. იგი განაგრძობს იმ დიალოგს, რომლის დიდმნიშვნელოვანი რვოლი იყო ჩვენი შეხვედრა ამა წლის დამდეგს ზასლავლში. უმაღლესი დონის კონტაქტები და კონსულტაციები საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ახლანდელი ურთიერთობის ბუნებრივი მოვლენაა და ისინი ყოველთვის ახალ სტიმულს აძლევენ ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საქმეს.

ჩვენი ახლანდელი შეხვედრა მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში ვითარების დინამიკური განვითარების მომენტში. ადგილიდან დაიძრა სხვადასხვა საზოგადოებრივი ყოფიერების მქონე ბევრი სახელმწიფოს ურთიერთობა. მიმდინარეობს მსოფლიოს წინაშე მდგომი უდიდესი, უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვე-

(დასასრული მე-8 გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე ძოწვევის უმაღლესი საბჭოს ძეოოსკ სეიიას შემდეგ, განვლილი პერიოდი ჩვენი ქვეყნისა და მისი ხალხის ცხოვრებაში ძდიდარია მეტად მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოვლენებით.

წარმატებით ხორციელდება სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული ქვეყნის ეკონომიური განვითარების გეგმები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის ცნობილი გადაწყვეტილებებით შეიარაღებული მთელი საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმით შრომობს 1973 წლის—მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დაგალებათა შესრულებისათვის. გაიმული ფართო, ეშეშარტად საერთო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება გეგმების და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე და გადაჭარბებით განაღდებისათვის, რაც დიდ წარმატებათა საწინდარია.

ეს პერიოდი აღინიშნა მსოფლიო მნიშვნელობის საგარეოპოლიტიკური აქციებით, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხალბოთა მთავრობის დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად განხორციელდა.

ამ მიზეზ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდინარე წლის აპრილის პლენუმის მუშაობა, რომელმაც განიხილა და მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაძაბული შემოქმედებითი საქმიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ აღიარებული სამშვიდობო პროგრამის შესასრულებლად.

ევროპაში და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური ქვეყნების შემდგომ შემშვიდოდროვას, მათს პოლიტიკურ და ეკონომიურ კონსოლიდაციას, რასაც თან მოჰყვა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის არნახული განმტკიცება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხმეწიფოს ნაყოფიერმა საგარეო პოლიტიკამ ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მთელ საერთაშორისო ვითარებაზე. საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიას არ ახსოვს მეორე ისეთი კონსტრუქციული, პოზიტიური საგარეოპოლიტიკური პროგრამა, პარტიის XXIV ყრილობამ რომ დაამტკიცა და რომლის წარმატებით განხორციელებამ ისეთი დიდი ნაყოფი გამოიღო საერთაშორისო მდგომარეობის გაჯანსაღების საქმეში.

ახლა თითქმის - მსოფლიოს ყველა ქვეყანა, აღიარებს საბჭოთა ხალხმეწიფოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდ როლსა და დამსახურებას დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის და ამ საქმეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის პირად დამსახურებას.

ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დამოკიდებულების მყარმა განვითარებამ და საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის მკვეთრმა გაუმჯობესებამ, რაც შედეგად მოჰყვა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტებს საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და მის მოლაპარაკებას პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუსთან და ფედერალურ კანცლერ ვილი ბრანდტთან.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კავშირურთიერთობის ძირეული გარდატეხის ეტაპი შეექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ენერგიული ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სულ ახლახან დამთავრებულმა ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ არც ერთ საერთაშორისო მოლაპარაკებას ახალმეწიფოთა შორის უმაღლეს დონეზე ოფიციალურად ჰკონია-ში ისეთი რეზონანსი არ ჰქონია, როგორც ამხანაგ ბრეჟნევისა და პრეზიდენტ ნიქსონის ამოლაბელ მოლაპარაკებას. ამდენად მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის, გარშემოა კონცენტრირებული. ამხანაგ ბრეჟნევის მოლაპარაკებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან და დოკუმენტებმ, რომლებიც მიღებულ იქნა ამის შედეგად, დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ნორმალიზაციისა და გაფართოებისათვის, არამედ მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარების ბედიღბლისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპის საწინდარია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სიმძლავრე და თავდაცვითი ძალიერება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ მის საქმიანობასთან სსრ კავშირში. კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში. სწორედ ამიტომ მიუწოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ყველა მშრომელს, რომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წლის დამკვრილური შრომით ჩაუყარონ საფუძველი XXIV ყრილობის მიერ განსაზღვრული საგეგმო დავალებების წარმატებით შესრულებას. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ზრდას.

საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის ერთიანობის, ლენინის იდეებისადმი მისი ერთგულების კიდევ ერთი გამოხატულებაა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სულ ახლახან ჩატარებული არჩევნები. არჩევნებისათვის მზადება და ჩატარება მიმდინარეობდა საბჭოთა ადამიანების მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, ისინი ისწრაფვიან თავდადებული შრომით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დაუღალავად შრომობენ მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების და ნაკისრ ვალდებულებათა უციალობლად შესრულებისათვის. ამ მრიგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე წლის თებერვალში გამართულ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ამოცანები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სრულყოფის ღონისძიებანი. პლენუმმა ღრმად გააანალიზა ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი ვითარება, გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებები და შეიცდომები მათი ხელმძღვანელობის სფეროში და დეკემბრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად დასახა მდგომარეობის გამოსწორების ქმედითი ღონისძიებანი. ახლა გაჩაღებულია ეშეშარტად დიდი საყოველთაო-სახალხო ბრძოლა საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მინკიერი მოვლენების, საპელმწიფო და შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი მართველობის დარღვევის, თვალთმაქცობის, მიზეზრების, ბოროტმოქმედების ყოველგვარ უხეშ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

თუმცა ადრეა ლაპარაკი იმაზე, რომ ყველაფერი უკვე გაკეთდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა სწორდება და ჩვენი ეკონომიკა დაბეჯითებით იკრებს ძალას.

ამის დადასტურებაა ის, რომ უკვე დაძლეულია ჩამორჩენა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში. მიმდინარე წლის ხუთ თვეში სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 103,9 პროცენტით. მართალია, ამ პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა წარმოების ზრდის საშუალო სადღეღამისო ტემპი — მან 107 პროცენტი შეადგინა. ეს კი იმის პირობაა, რომ მრეწველობა იწყებს ჩამორჩენის დაძლევას, და მომავალში ეზრუნველყოფილ იქნება კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები.

მართალია, ბუნება წელსაც არ გვწყალობს, მაგრამ სოფლის მეურნეობის მშრომელთა თავდადებამ გაჩახორა: ის, რომ მთლიანად უფრო წარმატებით, ვიდრე მარშან, სრულდება ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-დამზადების სახელმწიფო გეგმები.

უკვე დაიწყო თავთავიანი კულტურების აღება რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში და პირველი ცნობები მოწმობენ, რომ მოსავალი კარგია. გარკვეული ფართობებზე იგი 30-35 ცენტნერს მიაღწევს ჰექტარზე. კარგი პირი ეზრდა ბოსტნეულ და ბაღეულ კულტურებსაც.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ჩატარებულმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მეცხოველეობის ფერმებისა და ვეტაბების საზოგადოებრივმა დათვალიერებამ.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის ეკონომიკაში მიღწეული წარმატებები შემთხვევითი როდია. ისინი განპირობებულია იმ დიდი ორგანიზატორული მუშაობით, რასაც ეწევიან რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის, მართვისა და გაძლიერის გაუმჯობესების სფეროში.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო ჯერ კიდევ მაინც ვერ აღმოჩნდა დღეგანდელი მაღალი ამოცანების დონეზე და ვერ მიაღწია შრომითი კოლექტივების სათანადო მობილიზებას, ვერ შეძლო არსებული ჩამორჩენის დაძლევა. ეს კიდევ იმით არის გამოწვეული, რომ ბევრან კვლავ ირღვევა პარტიული, სახელმწიფოო და შრომის დისციპლინის ელემენტარული მოთხოვნებიც კი. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კიდევ გვხვდება საბჭოთა კანონიერების, საზოგადოებრივი მართლწესრიგის უხეშად დარღვევის, სოციალისტური და მოქალაქეთა ქონების ხელყოფის ფაქტები.

ამიტომ დროულია, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე განსახილველად გამოტანილია საკითხი — მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და სახელმწიფო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში. ამის განხილვას და მართლწესრიგის დარგში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომელთაც სესია დასახავს, უდავოდ დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნება.

ამხანაგო დეპუტატებო! სოციალისტური მართლწესრიგის, სამართლებრივი ნორმებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საბჭოთა კანონები კომუნისტური პარტიის ბრძნელ პოლიტიკას, სოციალიზმის ისტორიულ მონაპოვრებს ასახავენ. მშრომელი ხალხის ინტერესებს იმსახურებიან, დგანან საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი მოქალაქეების უფლებათა და ინტერესთა დაცვის სადარაჯოზე.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. ამ საქმეში ხელმძღვანელობდა ეროვნული ინტერესებიდან, ხალხთა ურთიერთობიდან, ეროვნული ინტერესებიდან, ეროვნული ინტერესებიდან, ეროვნული ინტერესებ

დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენების დასასრული

დაარღვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“.

ადგილობრივი საბჭოები და მათი ორგანოები, პროკურატურისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ კანონიერების დაცვას საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების, აგრეთვე ცალკეული მოქალაქეების მიერ და, უწინარეს ყოვლისა, თვითონ მეცარად უნდა იცავდნენ თავიანთ გადაწყვეტილებებში კანონთა მოთხოვნებს.

* * *

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები ყველგან რიდი უწევენ სათანადო კონტროლს აგრეთვე იმას, რომ მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მტკიცედ იყოს დაცული საბჭოთა კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო აქტებით მოქალაქეებისათვის მინიჭებული უფლებანი, გაუნაწილად სოციალედმოდეს ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორიც არის შრომის, ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის, შრომის უსაფრთხოების ტექნიკის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა კანონები და დებულებები.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შრომის კანონმდებლობა ვეფრალ უხეშად ირღვევა. ადგილი აქვს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების და დათხოვნის დადგენილი წესების შელახვას. საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხშირად უსაფუძვლოდ, პროფკავშირის ორგანოებთან შეუთანხმებლად ითხოვენ მუშა-მოსამსახურეებს. აი, თუნდაც ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონში სახალხო სასამართლის მიერ 1971 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით სამუშაოზე აღდგენილ იქნა უკანონოდ დათხოვნილი 14 კაცი. 1972 წელს მათმა რაოდენობამ უკვე 24-ს მიაღწია, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი 4-ს.

ჯერ კიდევ ხშირად აღვილი აქვს ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის გამოყენებას მძიმე სამუშაოზე, ირღვევა მათი მუშაობის ხანგრძლივობა, ეს კი არადამაკმაყოფილებლად ოქმედებს მათს ჯანმრთელობაზე. ხშირად ირღვევა შვებულებების, პენსიების გაცემის შესახებ საკანონმდებლო აქტები. თბილისში გამოვლინდა არასრულწლოვანთა შრომის კანონების უხეში დარღვევის ფაქტები კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო, ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხნებში, მაუდ-კამვოლის კომბინატში, საწარმო „ელექტროაპარატებში“, ჩაის გადამწარ, მუსიკალური ინსტრუმენტების, წინდების და მეშვიდე საკკერავო ფაბრიკებში, ქარხანა „თბილელექტროზოლიტში“ და სხვებისაც. ამ საწარმო-დაწესებულებებში 1971 წელს სისტემატურად ირღვეოდა არასრულწლოვანთა სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის, მათთვ სამუშაო დღის ხანგრძლივობის, სპეციალისტაციაზეთ უზრუნველყოფის, შრომის ფიზიკური გაფორმებისა და გაცემის წესები და სხვ.

ძალიან დიდია რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის უსაფრთხოების ტექნიკის უხეში დარღვევის შემთხვევებიც. ადგილი აქვს მძიმე საწარმოო ტრავმებს, რაც იწვევს მუშა-მოსამსახურეთა დაინვალიდებას და ზოგჯერ დაღუპვასაც კი.

შრომის კანონების და უსაფრთხოების ტექნიკის დაუნურეთად დაცვის საკითხებს საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი სათანადო კომისიები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და პროფკავშირის კომიტეტები მეტ ყურადღებას რომ აქცევდნენ ალბათ თავიდან იქნებოდა აცილებული მუშა-მოსამსახურეთა დასახიჩრების, მათი დაინვალიდების და ზოგჯერ დაღუპვის ბევრი შემთხვევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო და მათი აღმასკომები, პარტიული და პროფკავშირული ორგანოები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მოსახლეობის შრომითი დასაქმების საკითხებს. მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკის ბევრი რაიონი, საწარმო და სხვა ობიექტები განიცდიან მუშახელის მწვავე ნაკლებობას მაშინ, როდესაც ამ რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი ზეობიზეობით ხასაქმებული არ არის. ასე, მაგალითად, მოსახლეობის შრომითი მოწყობის საკითხებს სათანადო ყურადღებას არ უთმობს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონმასკომი, სადაც შემოწმების დროს აღრიცხვაზე იყო აყვანილი 437 შრომისუნარიანი მოქალაქე და აქედან ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ მუშაობდა 115 კაცი.

ამხანაგო დეპუტატებო! კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ დასახა საბინაო მშენებლობის ფართო პროგრამა. ამის შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაშიც საკმაოდ დიდი მასშტაბის სამუშაოები ხორციელდება ამ დარგში. ასეულ ათასობით ოჯახსა უკვე მიიღო კეთილმოწყობილი ბინები, გაუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ დიდ სიძნელეებს განიცდით მოსახლეობის საცხოვრებელი ბინებით, უზრუნველყოფის საქმეში. ჯერ კიდევ მრავალი ოჯახი არადამაკმაყოფილებელ საბინაო პირობებშია — სარდაფებსა და ბარაკებში ცხოვრობს და წლობით უცდის თავის რიგს ბინის მისაღებად. ასეთ ვითარებაში საცხოვრებელი ფართობის განაწილების საქმეს განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საცხოვრებელი ბინების განაწილების შესახებ არსებული წესების დაცვის საქმეში ადგილობრივ საბჭოებს, მათს აღმასკომებსა და საბინაო კომისიებს.

ამხანაგებო! კანონიერებისა და კანონების დარღვევა იწვევს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა უხეშ შელახვას და წარმოშობს დიდ უკმაყოფილებას მოსახლეობაში. ეს ხდება მიზეზი მათი სამართლებრივი საჩივრებისა და განცხადებებისა სამინისტრებსა და უწყებებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში, რაიაღმასკომებში, და, ბოლოს, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებშიც.

ასეთ პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საკითხები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის აგვისტოს დადგენილების — „მშრომელთა წერილების განხილვის და მათი მიღების გაუმჯობესების შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1968 წლის აპრილის ცნობილი ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების შედეგად, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე ადგილობრივ საბჭოებში გაუმჯობესდა მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვის მდგომარეობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამას წინათ მიიღო დადგენილება მშრომელთა მიღების გაუმჯობესების შესახებ. დაინშნა მიღების სპეციალური დღეები და საათები ორშაბათობით ყველა ხელმძღვანელ მუშაკთან — დაწყებული რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების სამინისტროებითა და მინისტრებით და დამთავრებული. უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებით. დაისახა სხვა ღონისძიებანი მშრომელთა მიღების გაუმჯობესების მიზნით. სანან ერთგვარად გამოასწორა მშრომელთა მიღების საქმე.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, რესპუბლიკის სამინისტრებსა და უწყებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ახლა გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა მშრომელთა წინადადებების შესწავლას, მეტი გულისხმიერებით განიხილება მათი საჩივრები და განცხადებები. ისინი უფრო ღრმა ანალიზს უკეთებენ განცხადება-საჩივრების ხასიათს, განასზოგადებენ მათ და სახავენ ღონისძიებებს მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ, მშრომელთა წერილების განხილვა-გადაწყვეტისადმი ყურადღების ერთგვარი გაძლიერების მიუხედავად, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების და მათი დადამი დაქვემდებარებული საწარმოდაწესებულებების მუშაობაში ამ ხაზით ჯერ კიდევ დიდი ხარვეზები და ნაკლოვანებები აღინიშნება.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული მოქალაქეთა მიღება, მათი განცხადებები, საჩივრებისა და წერილების განხილვა. ამიტომ საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა არა მარტო თვითონ თავისთან უნდა მოაწყონ სამუშაოდ ეს საქმე, არამედ მათ ვალებანაო თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში. ამ მუშაობის კონტროლი და სათანადოდ წარმართვა.

მე არ შემიძლია აქ გულისწყრომით არ აღვნიშნო, რომ იმათ გვერდით, ვინც თავის საჩივრებში, წერილებსა და განცხადებებში ამბილებს ბოროტმოქმედების, კანონიერების დარღვევის, მოქალაქეთა უფლებების შელახვის ფაქტებს და მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას, მართალია, ცოტა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არიან ისეთი ხორცმტბები, რომლებიც ბოროტების გზას დასდგომიან და თავიანთ ხელმოუწერელ განცხადებებში ცილს სწამებენ პატიოსან ადამიანებს. მე აღარ შევჩერდები ამ ფაქტებზე. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ მათ სასტიკი პრძოლა უნდა გამოუცხადოს მთელმა საზოგადოებრიობამ.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა, რათა სრულად იყოს აღკვეთილი მართლწესრიგის დარღვევის, ბოროტმოქმედების . ჩადენისა და მათი გამომწვევი მიზეზები. სოციალისტიზმისათვის, როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობისათვის, თვით მისი ბუნებით უჩვეულოა ყოველგვარი ანტიხაზოგადოებრივი გამოვლინება. უფრო მეტიც, ჩვენს სინამდვილეში გაბატონებული სოციალისტური საწარმოო ურთიერთობანი, კომუნისტური მორალის კეთილშობილური პრინციპები, კულტურისა და განათლების მაღალი ,დონე რეალურ შესაძლებლობას ქმნიან ამ მახინჯი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების სრული ლიკვიდაციისათვის, და საქმე საბოლოოდ სწორედ აქეთკენ მიდის.

მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ და შეგვრიგდეთ იმას, რომ სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში ჯერ კიდევ ვხვდებით ადამიანის ღირსების შელახვის, ხულიგნობის, დატაცებისა და ქურდობის, საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უხეშ ვამოვლინებებს.

ცნობილია, რომ სოციალისტური მშენებლობის პირველი დღეებიდანვე ვლადიმერ ილიჩ-ი ეკ ლენინი ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლას აცხადებდა უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანად. სპეკულანტები, ქურდები, ბიუროკრატები მას საბჭოთა ხელისუფლების უპირველეს მტრებად მიიჩნევა და მოითხოვდა უსასტიკეს ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ლენინის ამ დებულებებს ჩვენს დღევანდელ სინამდვილეშიც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და სიმძაფრე.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ვითარებაში, საბჭოთა საზოგადოების ყველა წევრის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პირობებში, შეუძლებელია მოვითმინოთ თუნდაც ელემენტარული ანტიხაზოგადოებრივი გამოვლინებანი. მაგრამ დანაშაულობათა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა სრული აღმოფხვრა ადვილი ამოცანა როდია. იგი მოითხოვს ხახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა მშრომელის ყოველდღიურ ყურადღებას და უაღრესად დიდ მუშაობას.

ეკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ არაერთი მნიშვნელოვანი დადგენილება და გადაწყვეტილება მიიღეს ბოროტმოქმედებათა და ანტისაზოგადოებრივ ვამოვლინებათა ლიკვიდაციის მიზნით. შესაბამისად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამაც სათანადო ყურადღება დაუთმეს საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის, საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს.

აი თუნდაც არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მტკიცედ მნიშვნელოვანი დადგენილება დანაშაულობათა თავიდან აცილების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მთელი რიგი სხვა ქმედითი ღონისძიებანი. რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა მიიღეს დადგენილება და გადაწყვეტილება ნარკომანიისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. შემოღებულია გამოუსწორებელი ნარკომანებისა და ლოთების ძალადებითი მკურნალობა და ზემოქმედების სხვა ზომები.

ამან გარკვეული დადებითი როლი შეასრულა მართლწესრიგის დარღვევათა მდგომარეობის გამოსწორების საქმეში. ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი სასოფლო და საბინაო საბჭოების ტერიტორიებზე უკვე წლების მანძილზე არ აღინიშნება ბოროტმოქმედებათა და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა შემთხვევები.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს გაძლიერდა საქმიანი კონტაქტები კანონიერების განმტკიცებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რესპუბლიკის სხვა სამინისტრებსა და უწყებებს შორის, მაგალითად, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, განათლების, კომუნალური მეურნეობის სამინისტროებთან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და სხვ.

მაგრამ რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და უწყებამ როდი მოახერხა მუშაობის გარდაქმნა კანონიერების დაცვის დარგში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შესაბამისად.

აი, მაგალითად, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში 1972 წლის განმავლობაში ჩადენილია მართლწესრიგის დარღვევის მრავალი შემთხვევა, მათ შორის მკვლელობა, გაუპატიურება და სხვ., ამ სამინისტროს სისტემაში მდგომარეობა ამ მხრივ ბრც მიმდინარე წელს არის სახარბიელო. ასევე საგრძნობია დანაშაულობათა დონე ვაჭრობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

მთლიანად რესპუბლიკაში ვაჭრობის მდგომარეობის, უწინარეს ყოვლისა ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის მთელი ორგანიზატორული სამეურნეო საქმიანობის ანალიზმა ცხადყო, რომ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ღონე ვერ შეეხამებოდა სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს. ვაჭრობის ორგანიზაციებმა ჯერჯერობულ ვერ შეაფასეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

უკანასკნელ ხანს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში გამოაშკარავდა ვაჭრობის წესების უხეში დამახინჯებანი, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დაკაცების მრავალი შეუწყნარებელი ფაქტი, ფულის გამოძალვა და სხვა დარღვევები სამეფოდ ფიზიკური წარმოების ადგილზე. ეს ორგანოების მუშაობის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ყველა, და განსაკუთრებით, საშინაო დანაშაულებრივი საქმეების გახსნა, ბოროტმოქმედთა გამოვლინება და მათი დასჯა. უფრო მეტიც, ზოგიერთი აღმინისტრაციული ორგანოს ქვეგანყოფები, საზოგადოებრივი, სამედიცინო და სხვა დაწესებულებები ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლის მაგივრად ცდილობენ ზოგჯერ მფარველობის ხელი გადაადგორონ მათ და ამით დიდ ზიანს აყენებენ სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

საქმე იქამდე მივიდა, რომ საჭირო გახდა, რათა ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში ჩარეულიყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ემსჯელა ამ საკითხებზე და მიეღო სათანადო გადაწყვეტილება. დამნაშავე პირები, მათ შორის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული პასუხისმგებელი მუშაკებიც კი, სასტიკად დაიხადნენ.

ამგვარად, მართლწესრიგისა და კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტორი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების, დეპუტატების, ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქის წინაშე დიდი და გადაუდებელი ამოცანები დგას მუშაობის გაძლიერების საზით.

სერიოზულად უნდა გაკუმჯობესდეს თავიანთი მუშაობა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურამ და მათმა აღგილობრივმა ორგანოებმაც, უმაღლესმა და სახალხო სასამართლოებმა.

ამხანაგო დეპუტატებო! მართვის ორგანოები, საბჭოები და მათი აღმასკომები, სამინისტრები და უწყებები, საწარმოები და დაწესებულებები, ყველა მოქალაქე განუხრელად რომ აღრულებდნენ საბჭოთა კანონმდებლობასა და კანონებს, ამ დარგში ყველა, განურჩევლად თანამდებობისა — დაწყებული მინისტრით, დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელობით და დამთავრებული რიგითი მუშაკებით — ყველაფერს რომ აკეთებდეს, რაც მათ ევალებათ, მაშინ ჩვენს წინაშე მდგომი ბევრი მძიმე პრობლემა უკვე დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი, ეგზიერებთ უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომ ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყველამ განურჩევლად გააკეთოს ის, რასაც ითვალისწინებენ მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი ჩვენი კანონმდებლობისა და საზოგადოებრივი ქცევის ნორმები.

სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა კანონების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის განსაკუთრებული მოვალეობა და პასუხისმგებლობა ეკისრებათ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები უპირველეს ყოვლისა თვითონ უნდა იცავდნენ კანონიერებასა და კანონებს თავიანთ ყოველდღიურ მუშაობასა და მოღვაწეობაში, თვითონ უნდა იყონ სამაგალითონი ამ მხრივ.

სამწუხაროდ, გვაქვს არაერთი ფაქტი, როდესაც ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები არღვევენ ჩვენი კანონმდებლობის ნორმებს, მიწათსარგებლობის კანონებს, თვითნებურად იკავებენ მიწებს, არსებული წესებისა და კანონების დარღვევით იშენებენ საცხოვრებელ სახლებსა და აკარაკებს.

თქვენ იცით, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საბჭოთა სოციალისტური კანონიერებისა და კანონების უფრაზად დარღვევისათვის ამ ბოლო დროს ბევრი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი დასჯა — გაათავისუფლა თანამდებობიდან და დაადო მათ სხვა პარტიული და აღმინისტრაციული სასჯელები. ასეთ „ხელმძღვანელთა“ მიმართ მომავალშიც იქნება მიღებული ზემოქმედების უმკაცრესი ზომები.

საბჭოთა სახელმწიფოში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას საქმეში, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდ როლს ასრულებს სამართლის ცალკე დარგების მიხედვით ფუძემდებელი საკანონმდებლო აქტების შემუშავება და მათი მიღება. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, რომელიც საკანონმდებლო აქტების მომზადებას თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად თვლის. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა და ხელმოწერა იყო საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ღონისძიებანი, რომლებიც ერთმანეთთან შეთანხმებით განაბორციელეს დამაბოლოებლობა ,ეს ერთ-ერთ ,ეს ,ეს ,ეს

საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის

გამარჯვებული ნაბიჯი

საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა გახლდათ დეკრეტი მშვიდობის შესახებ. მას შემდეგ ჩვენი სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე მიღებული მშვიდობის პროგრამა, ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამჟამად საფრანგეთში.

ჩვენი პლანეტის მილიონობით კეთილი ნების ადამიანი იმედის თვალით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს, მშვიდობის საქმის გამარჯვებას. ისინი იმედის თვალით შეჰყურებენ ჩვენს ქვეყანას, რომელსაც თვლიან მშვიდობისა და მეგობრობის ჭეშმარიტ მედროშედ. მშვიდობის მოსმრეთა მსოფლიო კონგრესიც ხომ სულ მალე სწორედ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართება.

ამ დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი ხალხი იწონებს საყოველთაო მშვიდობისაკენ გადადგმული დიდ, გონივრულ ნაბიჯს, მახსენდება მშვიდობის მომხრეთა პირველი საბჭოთა კონფერენცია, რომლის ტრიბუნიდან გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ალექსანდრე ფადეევმა მოგვმართა კონფერენციის მონაწილეებს: „ჩვენ ვალდებულნი ვართ ჰუმანიზმის სახელით ხმა ავიმაღლოთ ომის გამაზიანებელთა წინააღმდეგ. ამას ფიოლის ჩვენგან მილიონობით უბრალო ადამიანი მთელს მსოფლიოში“.

დღეს ეს მშვიდობის მომხრე მილიონობით უბრალო ადამიანი გახარებულია იმით, რომ მსოფლიოს ცაზე თანდათანობით იფანტება საავდრო ღრუბლები, თანდათანობით დგება მშვიდობის ამინდი.

იოსებ ნონეშვილი,
მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

ვადამდე დავამთავროთ ხუთწლედი

ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის მუშები, აღფრთოვანებული ვართ, რომ ჩვენი მთავრობა ასეთ უდიდეს წარმატებებს აღწევს საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის თანამშრომლობისა და სამშვიდობო მისია სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის ცხოველმყოფელობის ახალი დამაჯერებელი დადასტურებაა.

ბევრი კომუნისტური შრომის დამკვრელი მუშაობს მომავალი წლის ანგარიშში. ასე შრომობენ ლენინის ორდენოსანი ხარატები ალექსანდრე ზარდიაშვილი, ალექსანდრე მარგველაშვილი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი გაჩეჩილაძე.

ჩემი პირადი ვალდებულებაა წლის დამლევისათვის შევასრულო ხუთწლედის დავალება. ახლა კი პრიორიტეტს ვუშვებ 1975 წლის ანგარიშში.

კ. ილურიძე,
მეჯოდელი, სოციალისტური შრომის გმირი.

წვლილი მშვიდობის საქმეში

ქალაქ რამგუიეს მერის ინტერვიუ

პარიზი, 27 ივნისი. (საკუთარი). ბედნიერი ვართ, რომ ემასპინძლობთ საპატიო საბჭოთა სტუმარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, დაბეჭდავს საკუთარს კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში (საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატმა, ქალაქ რამბუიეს მერმა ქალბატონმა ჟ. ტომ-პატენოტრმა.

დღეს ჩვენ პატივი გვქონდა გადაგეცეთ ლ. ი. ბრეჟნევისათვის ქალაქ რამბუიეს საპატიო მედალი. ეს მიგიანჩინა საბჭოთა და ფრანგი ხალხების მეგობრობის დადასტურებად.

დაჯილი სტუმრები

საქართველოს დედაქალაქში ორ დღეს იყო სტუმრად დანიელ მშენებელ სპეციალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს დანიის საბინაო საკითხთა მინისტრი ჰელგე ნილსენი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სამოქალაქო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით.

დელეგაციის წევრები ეწვივნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს. შეხვედრის დროს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა თ. ჯანელიძემ სტუმრებს გააცნო თბილისის საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის საქმიანობა, ესაუბრა საქალაქო მეურნეობაზე, საქართველოს დედაქალაქის განვითარების გეგმებსა და პერსპექტივებზე.

საუბარს დაესწრნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები ი. თ. ურუშაძე, გ. ნ. გოშაძე, დარწმუნებული ვარ, განაგრძო ქალბატონმა ჟ. ტომ-პატენოტრმა, რომ ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს საუბრები დიდმნიშვნელოვანი წვლილია ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმეში.

ქალაქის ყველა მცხოვრები იზიარებს ჩემს ამ გრძნობებს, დაამთავრა თავისი ინტერვიუ ქალბატონმა ჟ. ტომ-პატენოტრმა. დიდად ვუმადლით ლ. ი. ბრეჟნევს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლის“ სამახსოვრო მედლის გადმოცემის გამო.

ფეხბურთი

ფრეს ძოაქვს... დამარცხება

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართა სსრ კავშირის თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის.

დინამოელებმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს პირველი ნახევრის 25-30 წუთი და მოიგეს კიდევაც ტაიმი — 1:0.

შესვენების შემდეგ სურათი არსებითად შეიცვალა. ინიციატივას სპარტაკელები დაეუფლნენ და შეძლეს შეხვედრის დამთავრება ფრედ — 1:1. ორი მატჩის შედეგია 3:2 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

თბილისის „დინამო“, სამწუხაროდ, ამჯერადაც გამოეთიშა ბრძოლას ამ საპატიო ჯილდოსთვის.

ექვსი მატჩი

გუშინ გაიმართა თასის გათამაშების დანარჩენი მატჩებიც.

აი მათი შედეგები (ფრჩხილებში მოყვანილია შესაბამისი გუნდების პირველი შეხვედრების ანგარიში):

„დნეპრი“ — „დინამო“ 85.
— 3:0 (0:2).
„არარატი“ — „ნეფტჩი“
— 3:1 (1:0).
„შახტიორი“ — „ზარია“
— 1:0 (0:2).
„პახტაკორი“ — „ცხა
— 1:1 (1:3).
„დინამო“ კ. — „კაირატი“
— 2:1 (1:1).
„დინამო“ ბ. — „ზენიტი“
— 1:1 (1:1).

პენალტებით მოიგო „დინამომ“.

ლენინგრადის სკზონათაშორისო

მესამე საგზური — ბირნს

გადადგეული პარტიების დამთავრებისას სმეიკალმა ვერ გამოიყენა ყაიმის შესაძლებლობა კარპოვთან. კუს უხეირო მანევრის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელი გროსმაისტერი უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა. კარპოვმა ამამძრავა ორი გამსვლელი პაიკი მეფის ფრთაზე და გიმარჯვა. ეს კარპოვთან ერთად პირველ რიგში ჭელს აძლევდა ბირნს, რომელსაც დანებდა კინტეროსი. ამრიგად, ამერიკელმა მოეადრაკენ პირველად მოიპოვა პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზური.

ტალი თამაშის განუახლებლად დანებდა რუკავინას, ორ პარტიას ამთავრებდა ულმანი. იგი დამარცხდა კუზმინთან, მაგრამ მოუგო კინტეროსს. გლიგორიჩთან გადადებულ პარტიაში კუზმინს ბრძოლა ლარ გენუასლება — მისი პოზიცია ეიმდო იყო. ეს ტენდენციასთან და ბუნებრივთან ტუკმაკო